განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი

# განცხადება

## ჟურნალისტ ვახო სანაიასა და მისი ოჯახზე თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით

25 თებერვალი, 2021 წელი

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი კატეგორიულად გმობს ჟურნალისტ ვახო სანაიასა და მის ოჯახზე განხორციელებულ ძალადობრივი თავდასხმის ფაქტს. მედიის წარმომადგენელზე მიზანმიმართული ძალადობა საფრთხეს უქმნის სიტყვის თავისუფლებას.

ვიმედოვნებთ, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაწყებული გამოძიება დროულად და ეფექტიანად წარიმართება, რათა არ მოხდეს მსგავსი სახის ძალადობის წახალისება და მედიის წარმომადგენლებმა შეძლონ საქმიანობის უსაფრთხო გარემოში განხორციელება.